დადგენილება № 01/2025 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

დადგენილება № 01/2025

თარიღი: 14 თებერვალი, 2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველის ნაწილის, 57-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის − საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის წესდების მე–7 მუხლის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორის რექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის #02-81-R და 2024 წლის 23 დეკემბრის #02–84–R ბრძანებებით დამტკიცებული საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის (საარჩევნო კომისიის განკარგულება #3, 27.12.2024 წ.) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის N 01 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1.ცნობილი იქნეს ახლადარჩეული აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილება, აკადემიური საბჭოს ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით (2026 წლის 30 სექტემბრამდე):

ა) საშემსრულებლო ფაკულტეტი – **ნინო ჭირაქაძე (პროფესორი);**

ბ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი - **ქეთევან ბოლაშვილი (პროფესორი); ეკა ჭაბაშვილი (ასოცირებული პროფესორი).**

2.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, No 64).

4. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი